„საუკეთესო მოაზროვნე“
ქუთაისის უნივერსიტეტის საქალაქო ოლიმპიადა ქალაქის
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელთათვის

დებულება

ქუთაისის უნივერსიტეტი ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელთა შორის საუკეთესო მოაზროვნის გამოვლენისა და წახალისების მიზნით, ატარებს საქალაქო ოლიმპიადას, რომელშიც მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ოლიმპიადა ჩატარდება ორ ეტაპად. მონაწილეები პირველი შესარჩევი ტურის (სასკოლო) წარმატებით გავლის შემდეგ დასკვნით ტურზე წარსდგებიან უნივერსიტეტში (საქალაქო ტური).

ოლიმპიადა ითვალისწინებს საუკეთესო მოაზროვნისათვის წამახალისებელ ფულად ჯილდოს. კერძოდ, პირველ ადგილზე გასული მოსწავლე და მისი კლასის დამრიგებელი ერთი წლის მანძილზე (12 კალენდარული თვე) შესაბამისად მიიღებს 60 და 50 ლარიან სტიპენდიას.

ოლიმპიადის პროცესის ორგანიზაციული მხარე.

ოლიმპიადა ჩატარდება 2 ტურად, პირველი შესარჩევი ტური ტარდება სკოლებში, ხოლო მეორე დასკვნითი ტური გაიმართება ქუთაისის უნივერსიტეტში, პირველი ტურის დასრულებიდან ორი კვირის ვადაში.

ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლიათ ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეებს, ოლიმპიადის ორივე ტურის პროცესს ხელმძღვანელობენ და წარმართავენ ქუთაისის უნივერსიტეტის წარმომადგენლები და სკოლის თითო წარმომადგენელი.

პირველი ტურის ჩატარების პროცედურა

პირველი შერჩევითი ტური ტარდება ყველა სკოლაში ერთდროულად, ერთსა და იმავე დღესა და საათზე.

ტურის ჩატარებამდე 10 დღით ადრე სკოლა წარუდგენს უნივერსიტეტს ოლიმპიადის პირველ (შესარჩევ) ტურში მონაწილეობის სურვილის მქონე მოსწავლეთა სახელობით სიას, თითოეული სკოლიდან არა უმეტეს 25 კაცის რაოდენობით, რომელიც დადასტურებული იქნება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით. აგრეთვე ინფორმაციას აღნიშნულ ოლიმპიადაზე სკოლის წარმომადგენლის შესახებ.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე სკოლიდან მონაწილეთა რაოდენობა იქნება 10-ზე ნაკლები, მათთვის პირველი (სასკოლო) ტური ჩატარდება გაერთიანებულად, რომელიმე სკოლის ან ქუთაისის უნივერსიტეტის შენობაში. (გადაწყვეტილება წინასწარ იქნება შეთანხმებული სკოლებთან).

ტურის მონაწილენი მოთავსდებიან სკოლის დირექციის მიერ შერჩეულ ერთ საკლასო ოთახში. საოლიმპიადო ტესტები სკოლაში დალუქული სახით მიაქვთ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ტესტები გაიხსნება მონაწილეებისა და სკოლის წარმომადგენლის თანდასწრებით. მუშაობის

დაწყებამდე მოსწავლეები უნდა დარწმუნდნენ, რომ ტესტი არ არის დაზიანებული, არ აკლია გვერდები და გარკვევით იკითხება. ტესტთან ერთად მოსწავლე მიიღებს პასუხების ფურცელს. დაუზიანებელი ტესტისა და პასუხების ფურცლის მიღებას მოსწავლეები დაადასტურებენ უწყისში ხელმოწერით; ტესტირების დაწყებამდე მოსწავლეებს გააცნობენ ტესტირების პროცედურის ძირითად წესებს, რის შემდეგაც დაიწყება დროის ათვლა; დროის ამოწურვის ან მოსწავლის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში კურატორი ამოწმებს ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას, რასაც მოსწავლე ადასტურებს უწყისში ხელმოწერით.

ტესტირებისათის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ ყველა ნაშრომი გროვდება, იდება კონვერტში და ილუქება სკოლის ბეჭდით.

პირველი ტურის სამუშაო დრო განისაზღვრება ნახევარი საათით.

ტესტების გასწორების პროცედურა

ოლიმპიადის ჩატარების მეორე დღესვე, ტესტები სწორდება უნივერსიტეტში, წინასწარ შემუშავებული ტრაფარეტების გამოყენებით. გასწორებას დაესწრება სკოლის წარმომადგენელი, რომლის წინაშეც მოხდება დალუქული კონვერტების გახსნა. სკოლის წარმომადგენელს უფლება აქვს გასწორების მომენტში გამოთქვას შენიშვნა, დაგვიანებული პრეტენზიები მხედველობაში არ მიიღება.

თითოეული სკოლის მოსწავლეთა ნაშრომების საბოლოო შეფასება გადატანილი იქნება სპეციალურ უწყისში, რომელიც შეივსება ორ ეგზემპლარად, დადასტურდება კომისიის წევრებისა და სკოლის წარმომადგენლის ხელმოწერით, ერთი გაეგზავნება სკოლას, ხოლო მეორე დარჩება უნივერსიტეტში.

ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობის უფლება ექნება თითოეული სკოლიდან საუკეთესო შედეგის მქონე ორ მოსწავლეს, რომელთა სია განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მეორე ტურის ჩატარების პროცედურა

ოლიმპიადის მეორე დასკვნითი ტური ჩატარდება ქუთაისის უნივერსიტეტში პირველი ტურის დასრულებიდან ორი კვირის შემდეგ.

ოლიმპიადის მეორე ტურს ატარებს მხოლოდ უნივერსიტეტის წარმომადგენლები, ხოლო სკოლების წარმომადგენლებს (არაუმეტეს 2), უფლება აქვთ დააკვირდნენ ტურის მიმდინარეობის პროცესს სპეციალურად დამონტაჟებული მონიტორების საშუალებით.

ტესტირების პროცესის ორგანიზება

მოსწავლემ რეგისტრაციის გასავლელად აუცილებლად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. რეგისტრაციის გავლის შემდეგ მონაწილე მიიღებს ინდივიდუალურ ნომერს, რომელშიც მითითებული იქნება სამუშაო ადგილის ნომერი.

ტესტირების პროცესი

მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეები უნდა დარწმუნდნენ, რომ ტესტი არ არის დაზიანებული, არ აკლია გვერდები და გარკვევით იკითხება. ტესტთან ერთად მოსწავლე მიიღებს პასუხების ფურცელს. ანონიმურობის უზრუნველსაყოფად მასზე დაიკვრება ინდივიდუალური შტრიხკოდი; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პასუხების ფურცლის დაუზიანებლობას. არ შეიძლება მათი დაკეცვა ან დაჭმუჭვნა, რაიმე ჩანაწერის გაკეთება (რომელიც არ ეხება ტესტის კითხვების პასუხს). დაუზიანებელი ტესტისა და პასუხების ფურცლის მიღებას მოსწავლეები დაადასტურებენ სექტორის უწყისში ხელმოწერით; გამოცდის დაწყებამდე მოსწავლეებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს, წესებს, რის შემდეგაც დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა; ყველა საგამოცდო სექტორში დამონტაჟებული იქნება ვიდეოკამერა, ჩაიწერება მთელი საგამოცდო პროცესი და შეიქმნება ვიდეოარქივი; საგამოცდო დროის ამოწურვის ან მოსწავლის მიერ სამუშაოს ადრე დასრულების შემთხვევაში კურატორი ამოწმებს მოსწავლის ტესტის რვეულის, პასუხების ფურცლისა და შტრიხკოდის დაუზიანებლობას, რასაც მოსწავლე ადასტურებს უწყისში ხელმოწერით და ამის შემდეგ კურატორს აბარებს ნამუშევარს; საგამოცდო პროცესი ამით სრულდება.

მეორე ტურის სამუშაო დრო განისაზღვრება ნახევარი საათით.

რა შემთხვევაში არ სწორდება ნაშრომი?

ნაშრომი არ სწორდება, თუ:

• მოსწავლე პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს! ან დაახატავს რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

• შტრიხკოდი გაფერადებულია ან დაზიანებულია;

• პასუხების ფურცელი შეივსება არა სექტორში დარიგებული, არამედ განსხვავებული კალმით;

• მოსწავლე საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ დახურავს ტესტს;

მოსწავლის უფლება-მოვალეობები:

• მოსწავლემ უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ მოსწავლე გამოცდაზე არ დაიშვება;

• რეგისტრაცია იწყება გამოცდის დაწყებამდე ერთი საათით ადრე;

• მოსწავლემ თან უნდა იქონიოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;

• აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა წყლის, (პლასტმასის ბოთლით), პირადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა;

წესები, რომლებიც უნდა დაიცვათ ტესტირების პროცესში:

• სამუშაო მაგიდებთან დასხედით იმ ნომრების მიხედვით, რომლებიც რეგისტრაციის დროს დაგირიგდათ;

• არ დააწყოთ მერხზე არც ერთი ნივთი პირადობის მოწმობის, კალმის (რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ), ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის გარდა;

• სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• ვალდებული ხართ ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით, სათითაოდ გადაფურცლოთ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი კურატორთან ან მეთვალყურესთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი დაუზიანებელია, რის შემდეგაც სექტორის უწყისში მოაწერთ ხელს დაუზიანებელი ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის მიღების თაობაზე;

• თუ ხარვეზიანი ტესტის რვეული ან პასუხების ფურცელი შეგხვდათ, მას ახლით შეგიცვლიან;

• არ შეიძლება შტრიხკოდის საწერი კალმით გაფერადება ან სხვაგვარი დაზიანება! ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;

• ტესტზე მუშაობის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგება და დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ამის თაობაზე თქვენ გაცნობებთ გამოცდის კურატორი ან მეთვალყურე;

• პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ კალმით, რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ;

• იმ შემთხვევაში, თუ პასუხების ფურცლის შევსებისას გამოიყენებთ განსხვავებულ კალამს, მიიღებთ გაფრთხილებას და ჩამოგერთმევათ პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადმოგეცემათ პასუხების სათადარიგო ფურცელი, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოიყენებთ სხვა კალამს, არ გასწორდება;

• თუ დროზე ადრე დაიწყებთ ტესტზე მუშაობას, მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• კურატორს ან მეთვალყურეს შეგიძლიათ მიმართოთ მხოლოდ ხელის აწევით;

• გამოცდის მსვლელობისას, საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დროებით დატოვოთ საგამოცდო სექტორი თანმხლებ პირთან ერთად. Eეს დრო არ დაემატება საგამოცდო დროს;

• ორი მოსწავლე ერთდროულად ვერ დატოვებს საგამოცდო სექტორს;

• აკრძალულია კურატორის ან მეთვალყურისათვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. ამ დროს მიიღებთ გაფრთხილებას, დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• ერთმანეთის დახმარების მცდელობის ან სხვა პირისაგან დახმარების მიღების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას; მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას. განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• აკრძალულია პეიჯერის, მობილური ტელეფონის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოცდაზე შეტანა. მათი აღმოჩენის შემთხვევაში, თუნდაც გამორთული იყოს, დაუყოვნებლივ მოიხსნებით გამოცდიდან;

• გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა;

• დრო არავის დაემატება (გარდა იმ მოსწავლეებისა, რომელთაც აქვთ სამედიცინო ცნობით დადასტურებული ფუნქციონალური დარღვევები);

• თუ დროზე ადრე დაასრულებთ ტესტზე მუშაობასა და პასუხების ფურცლის შევსებას, ხელის აწევით მიმართავთ მეთვალყურეს ან კურატორს, რომელსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ ტესტის რვეულს, პასუხების ფურცელს და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებთ საგამოცდო სექტორს;

• არ გასწორდება იმ მოსწავლის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ დახურავს ტესტს;

• არ გასწორდება იმ მოსწავლის ნაშრომი, რომელიც პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს! ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

• ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში;

• წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურცხყოფის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

• გახსოვდეთ, პასუხების ფურცლის გაკეცვა არ შეიძლება!

• გაკეცილი პასუხების ფურცელი არ გასწორდება;

თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთ გამოცდის კურატორის, მეთვალყურის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან თქვენი მოხსნის შესახებ.

ინფორმაცია შედეგების შესახებ

გასწორების პროცესის დასრულების შემდგომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდება კონკურსის შედეგები.

დაჯილდოების ცერემონია გაიმართება საზეიმო ვითარებაში.